

პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში საკვებწარმოება და აგრომექანიზაცია

პროგრამის ტიპი: პროფესიული მომზადების ტრენინგი

ხანგრძლივობა - 80 საათი

განხორციელების ადგილი - დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია მოქმედი და მომავალი ფერმერებისთვის მსხვილფეხა ცხოველთა საკვები ბაზის შექმნის/არსებულის გაუმჯობესების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება/გამყარება. მსმენელები შეისწავლიან ძირითადი საკვები ბალახების მნიშვნელობასა და კულტურული სათიბ-სამოვრების შექმნის წესებს. ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების მეთოდებს, სასუქების გამოყენებას, მავნებელ-დაავადებათა იდენტიფიცირებას, სარეველებისა და საკვები ბალახების ამოცნობას. ამასთან, გაეცნობიან აგრომექანიზაციის საკითხებს.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საოჯახო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები

პროგრამის განხორციელების მეთოდი: ჰიბრიდული: თეორიული და პრაქტიკული სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, დისტანციური სწავლება ვიდეო-გაკვეთილების საშუალებით

კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები:

- ნიადაგის დამუშავებაზე მოქმედი ფაქტორების აღწერა
- საკვები ნივთიერებების მნიშვნელობის განმარტება

- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ჯგუფების დახასიათება
- კულტურული მდელოს მცენარეთა ნარევების შერჩევა
- მდელოს შეფასება
- მდელოს მართვის ღონისძიებების შეფასება
- ბუნებრივი სათიბ-სადოვრის მოვლა
- ბუნებრივი და კულტივირებული სათიბ-სადოვრების აღწერა
- სასუქის შემტანი მანქანების შერჩევა- გამოყენება

შეფასების ინსტრუმენტები: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, ტესტირება

სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში: 12-15 სტუდენტი

ტრენინგის ხელმძღვანელი: ნიკა ჯაფიაშვილი

ტრენინგები: ნიკა ჯაფიაშვილი, მამუკა ბენაშვილი

სწავლის შედეგი	უნარები / კომპეტენციები	სწავლის მეთოდი	პრაქტიკა / თეორია	სასწავლო გარემო	შეფასების ინსტრუმენტი	ხანგრძლივობა
ნიადაგის დამუშავებაზე მოქმედი ფაქტორების აღწერა	კლიმატური ფაქტორების გავლენა ნიადაგის მდგომარეობაზე. ამინდის ზეგავლენა ნიადაგის დამუშავებაზე.	ონლაინ ლექცია/ლექცია /პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	მდელო/ აუდიტორია / ონლაინ პორტალი	გამოკითხვა	7
საკვები ნივთიერებების მნიშვნელობის განმარტება	საკვები ნივთიერებების როლი მცენარის ზრდა-განვითარებისთვის. სასუქების გავლენა კულტურის განვითარებაზე, მოსავალსა და ხარისხზე.	ონლაინ ლექცია/ ლექცია /პრაქტიკა	თეორია / პრაქტიკა	მდელო/ აუდიტორია / ონლაინ პორტალი	გამოკითხვა	12

	<p>ნიადაგში საკვები ნივთიერებების არსებობისა და მცენარის მიერ მათი ათვისების პროცესი. სასუქების სახეები. მცენარის გამოკვების სახეები.</p>					
<p>მცენარეთა მავნე ორგანიზმების ჯგუფების დახასიათება</p>	<p>მცენარეთა მავნე ორგანიზმების ძირითადი ჯგუფები. მცენარეთა სტრესის გამომწვევი აბიოტური და ბიოტური ფაქტორები.</p>	<p>ონლაინ ლექცია</p>	<p>თეორია</p>	<p>ონლაინ პორტალი</p>	<p>გამოკითხვა</p>	<p>10</p>
<p>კულტურული მდელის მცენარეთა ნარევის შერჩევა</p>	<p>ბალახნარევის შერჩევა მისი შემადგენელი თითოეული კომპონენტის მნიშვნელობის, მდელის გამოყენების დანიშნულების, ინტენსივობის, პროდუქციის სახისა და ადგილის ნიადაგურ-კლიმატური მახასიათებლების გათვალისწინებით.</p>	<p>ლექცია / პრაქტიკა</p>	<p>თეორია / პრაქტიკა</p>	<p>მდელი / აუდიტორია</p>	<p>პრაქტიკული დავალება</p>	<p>9</p>
<p>მდელის მართვის ღონისძიებების შეფასება</p>	<p>მდელის მცენარეთა კლასიფიკაცია</p>	<p>ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა</p>	<p>თეორია / პრაქტიკა</p>	<p>მდელი / აუდიტორია</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>	<p>11</p>
<p>მდელის შეფასება</p>	<p>კონკრეტულ სათიბ-სამოვარზე არსებულ მცენარეთა ბოტანიკური შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება</p>	<p>ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა</p>	<p>თეორია / პრაქტიკა</p>	<p>მდელი / აუდიტორია</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>	<p>7</p>

<p>ბუნებრივი სათიბ-სამოვრის მოვლა</p>	<p>სათიბ-სამოვრებზე ფიტოსანიტარული მონიტორინგის განხორციელება; მონიტორინგის საფუძველზე სათიბ-სამოვრების მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა; სათიბ-სამოვრების მცენარეთა სასუქებზე მოთხოვნის შეფასება; სათიბ-სამოვრებზე შესატანი სასუქის რაოდენობის დაანგარიშება</p>	<p>ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა</p>	<p>თეორია / პრაქტიკა</p>	<p>მდელი / აუდიტორია</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>	<p>12</p>
<p>ბუნებრივი და კულტივირებული სათიბ-სამოვრების აღწერა</p>	<p>ბუნებრივი სათიბ-სამოვრის თავისებურებები, კულტივირებული სათიბ-სამოვრის თავისებურებები</p>	<p>ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა</p>	<p>თეორია / პრაქტიკა</p>	<p>მდელი / აუდიტორია</p>	<p>გამოკითხვა</p>	<p>4</p>
<p>სასუქის შემტანი მანქანების შერჩევა-გამოყენება</p>	<p>სასუქის შემტანი მანქანების მუშაობის პრინციპების და აგროტექნიკური მოთხოვნების</p>	<p>ლექცია / დემონსტრაცია / პრაქტიკა</p>	<p>თეორია / პრაქტიკა</p>	<p>ტექნიკის სადგომი/აუდიტორია</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>	<p>8</p>

	<p>გათვალისწინებით მანქანების შერჩევა სასუქის შემტანი სატრაქტორო აგრეგატების შერჩევა</p>					
--	--	--	--	--	--	--

სასწავლო მასალები -

- ბალახნარეგების შერჩევა საკვების წარმოებისთვის
- ინტენსიური მდელოების მნიშვნელოვანი მცენარეები
- ექსტენსიური მდელოების მცენარეების ამოცნობა, შეფასება და გამოყენება
- მდელოს შეფასება და შესაბამისი გამოყენება

სასწავლო მასალები განთავსებულია პორტალზე: <https://t.ly/vCh9P>

ტრენერის კომპეტენციები - ტრენინგის ხელმძღვანელს უნდა უდასტურდებოდეს აგრონომიის მიმართულებით უმაღლესი განათლება. დამატებით, ტრენინგის ხელმძღვანელს გავლილი უნდა ქონდეს ტრენინგი შვეიცარიული დუალური სწავლების მეთოდოლოგიაში. დამხმარე ტრენერებს უნდა უდასტურდებოდეს აგრონომიის ან/და აგრომექანიზაციის მიმართულებით პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

სასწავლო გარემო: მდელო, აუდიტორია, ონლაინ პორტალი

თეორიული გაკვეთილებისთვის:

- საკლასო ოთახი, შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, დაფები, მარკერები)
- საკლასო ოთახი ფერმაში, შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერი, პროექტორი, დაფა, მარკერები)

პრაქტიკული გაკვეთილებისთვის:

- მდელი
- ბარი
- ორმეტრიანი საზომები
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორები, მისაბმელები)

სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტები

სტუდენტების შეფასება მოხდება პრაქტიკული და თეორიული გამოცდის საფუძველზე პრაქტიკული გამოცდის დროს მსმენელი ასრულებს კონკრეტულ დავალებას, რომელიც დაკავშირებულია ფერმაში ყოველდღიურად განსახორციელებელ სამუშაოებთან. პრაქტიკული დავალება შესაძლოა შეფასდეს როგორც შესრულების პროცესში (დაკვირვებით) ასევე შეფასდეს მხოლოდ შესრულებული სამუშაო (დავალების პროდუქტი). გამომცდელი აკვირდება და/ან აფასებს შესრულებულ სამუშაოს ჩეკლისტის საფუძველზე, მაქსიმალური ქულით - 6.

თეორიული გამოცდა მოიცავს წერილობით / ან ზეპირ გამოცდას, რომლის მაქსიმალური ქულაა - 6 გამოცდებზე შეფასება ხდება 0.25-იანი ბიჯებით.

საბოლოო შეფასება = 0.6X პრაქტიკული გამოცდის შედეგი + 0.4X თეორიული გამოცდის შედეგი

გამოცდა ჩაითვლება წარმატებულად, თუ მსმენელი მიიღებს 4-ზე მაღალ შეფასებას გამოცდაში ჩაჭრის შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე. პირველი განმეორებითი გამოცდა უფასოა. მეორე განმეორებითი გამოცდის საფასურია 200 ლარი. მეორე გამოცდაზე ჩაჭრის შემდგომ, მსმენელს უფლება აქვს, თავიდან დარეგისტრირდეს პროგრამაზე, გადაიხადოს საფასური და გაიაროს კურსი სრულად.